

მ ჯ ე მ ს ი

ო ზ ი ც ი ა ლ უ რ ი ზ ა ნ ყ ო ზ ი ლ ე ბ ა .

ყმაღლისი მანიფესტი.

წყალმჯობისა ლმთისათა

ჩვენ, ნიკოლოზი ვიროვი,

იმპერატორი და თვით-მპყრობელი სრულიად რუსეთისა,

მეფე შალშისა, დიდი მთავარი ფილიანდიისა

და სხვათა, და სხვათა, და სხვათა,

გუსნადებთ უკუა ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა:

ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა ინება მიუწდომელის განკებითა თვისითა შეეწვიება მვირჟასი სიცოცხლე დიდად საუვარელისა მშობლისა ჩვენისა, ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა; მძიმე სწეულება ვერ დასძლია ვერც წამლობა და ვირიმის მარტებელმა ჰაერმა, 20 ოქტომბერს იგი კარდაიცვალა ლივანიაში მისი იმპერატორების უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისა და ჩვენს ხელზედ, ოდეს მთელი მისი სახლობაც გარს ეხვია. ჩვენი მწუხარება სიტყვით არ გამოითქმის, მაგრამ ამას ყოველი რუსის გული მივხდება, და კვწამს, რომ ჩვენს ვრცელსა და დიდს სახელმწიფოში ისეთი ადგილი არ იქნება, სადაც მღუ-

ღარე ცრემლა არ იღვრებოდეს ხელმწიფისათვის, რომელმანც უდროვოდ განისვენა საუკუნოდ და დასტოვა სამშობლო მიწა, მიწა, რომელიც სრულის გულით უუვარდა, უუვარდა, რამდენათაც-კი შეუძლიან რუსის გულს სიუვარელი, რომლის კეთილ-დღეობასაც სწირავდა ყოველს თავისი გულის ზრახვას და არც დაუშურავს არც ჯან-მრთელობათვისი, არც სიცოცხლეს; და არა თუ მარტო რუსეთში, არამედ იმის სახლგარის უშობრეს ადგილებშიაც არასოდეს არ მოიძლიან ჰატივისცემასა და არ დაივიწყებენ იმ მეფეს, რომელმაც განახორციელა შეურეველი სიმართლე და მშვიდობიანობა ყოვლად დაურღვეველი იმისის მეფობის განმავლობაში. აღსრულდემსცა, წმინდა სურვილი უხენაისისა, განგვატკიცოსცა შეურეველმა რწმენამ ციურ განკების ყოვლად სიბრძნისამ, გვანუგეძლოსცა იმ ამბავმა, რომ მწუხარება ჩვენი, საერთო მწუხარებაა მთელის ჩვენის საყვარელის ერისა. ნუ დაივიწყებს იგი, რომ ძლიერება და სიმტკიცე წმიდა რუსეთისა მდგომარეობს ჩვენთა ერთობაში და ჩვენდამო ერთგულებაში. ჩვენ კი ამ სამწუხარო, ხოლო დიდებულსა საათსა რუსეთის იმპერიისა, და მასთან განუყოფელ ზოლონელთა სამეფოსა და ფინლიანდიის სამთავროს ჩვენთა მამა-პაპათა ტახტზედ აღსვლისას გვაგონდება ანდერძი

კანსვენებულის მშობლისა ჩვენისა და, კან-
ვიმსჭვალენით რა ამა ანდრეშით, წმიდა
აღქმასა ვსდებთ ეოვლად უზენაესისა წინაშე
ეოველთვის საგნად გვექნდეს მშვიდობით
წარმატება, ძლიერება და დიდება მვირფასის
რუსეთისა და ბედნიერება ჩვენთა ერთგულთა
ქვეშევრდომთა. ეოვლად შემძლებელი ღმერთიძე
დაგვეცხმარება, ღმერთი, რომელმა მოგვიწოდა
ჩვენ ამა დიდსა სამსახურისათვის. აღვაულებთ
რა მხურვალე ლოცვასა ეოვლად მხერობელი-
სა ტრანჰეზისა წინაშე, რათა მან მონანიჭოს
კანსვენება წმიდათა სულსა დაუვიწიარის
ჩვენის მშობლისას, ჭუბძანებთ უველა ჩვენ
ქვეშევრდომთა დასდონ ფიცვი ერთგულებისა
ჩვენისა და მეძვედრესი ჩვენისათვის, მისის
იმპერატორებითის უმაღლესობისა დიდის
მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძისა, რომე-
ლიც უნდა იეოს დაიწოდების მეძვედრე ცესარე-
ვიჩად იმ დრომდე, ვიდრე ინებებს უფალი და
მოგვანიჭებს ვაჟიშვილსა მოძავალს ჩვენსა და
ჭესენდარმშტატელის პრინცესა ალისას ქორ-
წინებაში. ბოძებულა ლივადაში ქრისტეს
ძობიღვან ათას რვაას-ოთხმოცდა-თოთხმეტსა
წელსა, ხოლო მეფობიღვან ჩვენისა პირ-
ველსა, ოცსა ოკტომბერსა.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებუ-
ლესობის საკუთარის ხელით აწერია:

«ნიკოლოზ».

უმაღლესი მანიფესტი.

წყალობითა ღვთისათა

ჩვენ, ნიკოლოზ მეორე,

იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა,
მეფე პოლშასა, დიდი მთავარა ფილიანდიისა
და სხვა და სხვა და სხვა.

დღეს უმაღლესად სახელწოდებულს სასძლესა ჩვენსა
წმიდა მიწინი სტესეს, ეწოდა რა სახელად ალექსანდრას,
იგი შეიქმნა ჩვენის მართლ-მადიდებელი ეკლესიის
მსვეალი სანუგეშოდ ჩვენისა და მთელის რუსეთისათვის.

ამ მწუსარების დროს, რომელიც ჩვენ ეოველთა
მოგვივლინა უზენაესმა მიუწოდამელისა განგებითა თვისითა,
გვწმამს ჩვენს ერთან ერთად, რომ სულმა საუვარკლისა
მშობლისა ჩვენისამ ზეცაეკრას სოფელსა მუოფმა, აკურთხა
მისისა და ჩვენის სურველით ამოჩვეული, რათა მარ-
წმუნე და მოსაუვარულე გულთ გაგვიჩაწილოს განუ-
წყვეტელი ზრუნვა ჩვენის სამშობლეს კეთილდღეობისა
და ბედნიერებისათვის.

უველა ჩვენი ერთგულნი ქვეშევრდომნი ლოცვათა
თვისთა შემოურთებენ კედრებასა ჩვენსა, რათა უფალმა
მოავლინოს გურთხევა თვისი ჩვენსა და ნებითა მისითა
ჩვენდამო რწმუნებულ ერის ბედსა ზედა.

ვაგურწებთ, რა უველა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომ-
თა ამა სასურველს ამბავს, ჭუბძანებთ, უმაღლესად
სახელწოდებული სასძლეს ჩვენი, მისი უმაღლესობა
პრინცის ასული ალისა მაისსენაიონ ხოლმე უკეთილ-
მოწყმუნესს დიდ მთავრინა ალექსანდრას თეოდორეს
ასულად იმპერატორებითის უმაღლესობის საჩისხით.

ნამდვილზე საკუთარის მისის იმპერატორებითის
უდადებულესობის ხელით აწერია:

«ნიკოლოზ».

განჩინება უწმიდესის სინოდისა.

24 ოქტომბრიდან 1894 წელსა № 223 უმაღლესი მანიფესტით მისის უმაღლესობის პრინციპს ასულის აღიხას მიერ ჩენი მართლ-მადიდებელი სარწმუნოების მიღებისა წმიდა მირონცხებით და სახელწოდებისა გამო მისი უმაღლესობის კეთილმორწმუნე დიდ მთავრინა ალექსანდრა თეოდორეს ასულად იმპერატორებითის უმაღლესობის ხაზისხით.

უკახისა მებ მისა იმპერატორებითა უდიდებულესობისა უწმიდესმა სინოდმა მოასმინა: პირველად უმაღლესა სენატის მიერ გარდმტყუი დაბეჭდილი პიჩო მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის მანაფესტისა, რომელიც გამოიცა ამა ოქტომბრის 21 დღეს, რომ იმავე დღეს უმაღლესად სახელწოდებულმა სასმლომ მისა იმპერატორებითა უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ ალექსანდრეს მისამ მისმა უმაღლესობამ პრინციპს ასულმა აღისამ მიიღო ჩენი მართლ-მადიდებელი სარწმუნოება წმიდა მიწინსებით და რათა იხსენიებდნენ მის უმაღლესობის კეთილმორწმუნე დიდ მთავრინა ალექსანდრა თეოდორეს ასულად იმპერატორებითის უმაღლესობის ხაზისხით, და მეორე: წინადადება უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურატორის თანამდებობის აღმასრულებლისა უმაღლესად დამტკიცებულ წესის შესახებ, თუ როგორ უნდა იხსენიებდნენ ღვთის-მსახურების დროს უგუგუსტოესა გარეულობის უდიდებულესობათა სახელებს. ბრძანეს: 1) ეს უკლასათვის სასახარულო შემთხვევა მისა იმპერატორებითა უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ ალექსანდრეს მის უმაღლესად სახელწოდებულ სასმლომ მისი უმაღლესობის პრინციპს ასულის აღისას მიერ ჩენი მართლ-მადიდებელი სარწმუნოების მიღებისა წმიდა მიწინსებით და სახელწოდებისა გამო მისის უმაღლესობისა კეთილმორწმუნე დიდ მთავრინა

ალექსანდრა თეოდორეს ასულად იმპერატორებითა უმაღლესობის ხაზისხით, ეცნობოს ცირკულარულად ქვემდებარე ადგილთ და პირთ სასულიერო უწყებისას, მიეწეროს მათ ასასრულებლად, რათა, აცნობონ რათადზირკულად ადგილობით სამოქალაქო მთავრობათა, უკლას ქალაქის საკრებულო და სამკველო ეკლესიაებში პირველად, მიღებისათხავე ამ უწმიდესის სინოდის განგარეულებისა, ხოლო სოფლის და მონასტრის ეკლესიაებში პირველსავე კვირა ანუ დღესასწაულ დღეს წაითხულ იქმნეს უმაღლესი მანიფესტი წიკრის წინ, ხოლო შემდეგ გადახდილ იქმნეს სადღესასწაულ ღვთის საკრებულო პარკლისი მუხლ-მოადრეკით (გარდა იმა ეკლესიაებისა, რომლებშიაც აკეთი პარკლისი გადახდილ იქმნა განსაგუთებით განგარეულებათა გამო) და 2) რათა, როგორც ამ შემთხვევაში, ისე შემდეგში ღვთის-მსახურების დროს მოხსენებულ იქმნენ უგუგუსტოესა გარეულობის უდიდებულესობათა სახელები შემდეგი უმაღლესად დამტკიცებულ წესით: უკეთილმსახურესი, უთეთიშეურობელესი, დიდი ხელმწიფე ჩენი იმპერატორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სრულიად რუსეთისა:

დღა მისი, კეთილმორწმუნე ხელმწიფე იმპერატორი მანამ თეოდორეს ასული; უმაღლესად სახელწოდებულ სასმლო მისი, კეთილმორწმუნე დიდი მთავრინა ალექსანდრა თეოდორეს ასული; მეტკვიდრე მთი, კეთილმორწმუნე ტესაჩეობი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე და სამეუფო სასლულობა მათი.

უწმიდესი სინოდის ესეთი განგარეულება ეცნობოს უმართებულეს სენატს და დაბეჭდილ იქმნეს «საკლესიო უწყებებში».

21 ოქტომბერს, სინოდის შვიდთა მსოფლიო კრებათა ეკლესიაში უკვე შეკრდომილესი ფიცის მიღების შემდეგ, უწმიდესმა სინოდმა თავის საგანგებო კრებაზე დადგინა: გაეზანგოს მისს იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორს ტელეგრამა, რომელშიაც გამოხატულ იქმნეს უკვე შეკრდომილესი გრძნობანი.

ამ ტელეგრაფზე მიღებულ იქნა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისაგან შემდეგი უმარწყალესი პასუხი:

ზალჯადის, პეტერბურგის მიტროპოლიტს.

გულწრფელად ვმადლობ უწმიდესი სინოდის წევრთ ჩემდამო გამოხატულ გრძნობათა და მონაწილეობისათვის ამ უღრმესი მწუხარების წაშლ. გამსჭვალული მხურვალე სიყვარულით განსვენებულია მშობლისადმი, მე, მიმბაძველი მისი მაგალითისა, ყოველივე ჩემს ღონეს შევსწირავ ძვირფასი სამშობლოს და მართლ-მადიდებელი ეკლესიის სამსახურს.

«ნიკოლოზ»

ტელეგრამა უწმიდესი სინოდისა:

უწმიდესი სინოდი, აღაჯენს რა უფლისა ღვთისადმი მხურვალე ღონისა თქვენი იმპერატორებითი უდიდებულესობის სამრთელისა და კეთილდღეობითი პეფობისათვის და დასდვა რა უჭკეშეკრდამილესი ფატი, და სდებს თქვენი უდიდებულესობის კვარცხ-ბეგის წინაშე უსაზღვრო ერთგულებითს გრძნობას და ვედრებათ, მოუწოდებს ღვთიურს უფლად წაწმეტებითს გურთხევას თქვენს სამეუფო შრომასა და ღვაწლსა ზედა წმ. ეკლესიისა და ძვირფასის მამულისა საკეთილდღეოდ-აღსაგსე ღმრე მწუსარებითა დაადის დანაკლისისა გამო, რომელიც ეწია თქვენს უდიდებულესობას, უავგუსტოეს სახლობას და მთელს რუსეთს, სინოდი მთელი რუსეთის ეკლესიითურთ არა დასცნობის აღავლინოს გულსმოდგინე ვედრებანი უზუნაგისადმი განსვენებისა წმ. სულისა მშვიდობის მოუარე მეფისა სასუფეველსა ცხათასა.

თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ერთგულნი ქვეშევრდომნი:

ზალჯადი, მიტროპოლიტა პეტერბურგისა და ლადოჟსკისა.

ანტონი, მთავარ-ეპისკოპოსი ფილიანდიისა და ვიბორგისა.

ბესარიონი, ეპისკოპოსი კასტრომისა და გალიციისა.

ეპისკოპოსი გერმანე.

ეპისკოპოსი მარკელი.

20 ოქტომბერს

ლივადია. დღეს, 20 ოქტომბერს, ნაშუადღევს 2 საათსა და 15 წუთს ლივადიის სასახლეში ღვთის მიერ განისვენა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ. სასახლესედა სამეფო ბაიარდი ჩამოძვებული იყო; ვაისმა ზარბაზნების სროლა და მცხოვრებნი განუსაზღვრელს მწუსარებას მიეცნენ. მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ დილით წმიდა საიდუმლო მიიღო ჰროტოპრესვიტერის იანიშვიისაგან. უკანასკნელ წუთამდე ხელმწიფე იმპერატორი სრულ გონებასედა იყო. ხელმწიფე იმპერატორიცა არ მოჰმოცებია უავგუსტოესს მეუღლესს. ხელმწიფე იმპერატორს განსვენების დროს გარს ესვია მთელი მისი სახლობა. გვამს გამოეთხოვნენ უავგუსტოესნი შვილნი და ნათესავნი, უმადლესის კარის მოხელენი, ამაღა და სასახლის მოსამსახურენი.

მესუთე საათსედა სასახლის ეკლესიის სიანლოვეს, მოედანსედა, ხელმწიფე იმპერატორს ერთგულება შეჭფიცეს. დააფიცა სასახლის ჰროტოპრესვიტერმა იანიშევმა სამღვდელოების თანამღვთის-მსახურებით, ჰირველად დაიფიცეს დიდმა მთავრებმა, შემდეგ სასახლის კარის მოხელეთ, ამაღამ, კარის მოსამსახურეთ, ლივადიაში მყოფმა ჯარმა, სასახლის ჰოლიციამ და მისის უდიდებულესობის საკუთარ მსლებელთ („კანგოი“).

მწყმოსი



მე ვარ მწყმოსი კეოლი: მწყმოსმან კეოლიმან სული თვის ი დაჭსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედელი. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერითისათვის ცა ღვლისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მპიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 21

1883—1894

1—15 ნოემბერს.

შინაარსი ოფიციალური ნაწილისა: უმაღლესი მანიფესტნი.—უწმიდესი სინოდის განჩინებანი.

შინაარსი არა ოფიც. ნაწილისა: ბიოგრაფიული ცნობები ღვთის მიერ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე შესამისა.—პეტერბურგში მისვენება და დასაფლავება იმპერატორის ალექსანდრეს გვამისა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მოელი დასავლეთის საქართველოს სამღვდლოების წარმომადგენელთა კრებაჲ. ქუთაისში.—მწარე ფაქრები.—ორი სასწორმეტყველო შენიშვნა.

ბიოგრაფიული ცნობები

ღვთის მიერ განსვენებულ იმპერატორ ალექსანდრე III.

ერთ რუსულ გაზეთში მოყვანილია შემდეგი საბიოგრაფიო ცნობები განსვენებულის იმპერატორისა:

იმპერატორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე მეორმოც-და-ათე წელიწადში გადადგა და მის მეფობის მე-14 წელიწადი დაიწყო, როდესაც გარდაიცვალა, თუმცა ავადმყოფობამ ნელ-ნელა დაუძლურა

იგი, მაგრამ იმისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ მაინც ყველა გააოცა. ღიბიანი, რაც ეგრე უღროლად და მცირე მეფობის შემდეგ რუსეთის იმპერატორი აღარ გარდაცვლილა. თუმცა იმპერატორი ალექსანდრე პირველი ორმოც-და-რვა წლის გარდაიცვალა, მაგრამ 25 წელიწადი ჰქეფობდა; ნიკოლოზ I-ლი მე-60 წელში იყო გადამდგარი და 30 წელიწადი ჰქეფობდა, ალექსანდრე II უღროლად წართევს რუსეთს, როდესაც მე-63 წელში გადავიდა და 26 წელიწადი იმეფა. იმპერატორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე 36 წლია ავიდა სამეფო ტახტზედ, იმისი ჯანმრთელობა, სულის სიმშვიდე და ოჯახის სიყვარული სრულს იმედს უნერგავდა ადამიანს, რომ ღიბის ხნის სიცოცხლე და მეფობა ეწერა ბედად...

მაგრამ მიუწოდებლმა განგებამ უფლისამ დაარღვია უოველი ეცე მოლოდინი აღამიანისა.

მეორე რუსულ გაზეთში ვკითხულობთ: საფრანგეთში ამ სამწუხარო ამბავმა თავს ზარი დასა ეცელას და მესამე რესპუბლიკის მთავრობამ დიდ ხანს აღარ დახანა, მაშინვე თავისი მწუხარებაც ფრანგთა საერთაშორისო წყუხარებას შეუერთაო. სამინისტროს მეთაურმა ლუპიუმ მაშინვე გააგზავნა ლივადისა და პეტერბურგში საერთო მწუხარების დეპუტატი და საფრანგეთის და აღყირის პრეფექტებს უბრძანა, რომ საერთო დროში საფრანგეთისა ნახეზრად ჩამოუშვან ნიშნად ერთნულის გლოვისა იმ ნიორადვე, როგორც კარნოს გარდაცვალების დროს იყო. ეხლანდელი პრეზიდენტი არ დასჯერდა მხოლოდ სამძინრის დეპუტის გაგზავნას და ეტოკეტის წინააღმდეგ, თითონ მივიდა რუსეთის საელჩოში. მრავალი გაზეთები პარიზისა სამგლოვიარო არშიით გამოვიდა.

ინგლისის გაზეთებიც ერთ ხმად აღიარებენ მწუხარებას იმის გამო, რომ ევროპამ დიდი დასაკლისი დაჰკარგაო. „ტაიმსი ამბობს, რომ კაცობრიობა დავალებულია იმპერატორის ალექსანდრესაგან, რომელიც მშვიდობის მყოფელი იყო და რომლის წყალობითაც მშვიდობა არ დაარღვეულაო.

გერმანიაში საერო თანაგრძობის გამომაცხადებელი თითონ იმპერატორი ვილჰელმი იყო. იმპერატორმა დიდი ქება შეახხა განსვენებულს ხელმწიფეს და არა ნაკლებს თანაგრძობით მიეგება იმის თვით მპყრობელს მეგვიდრეს.

ენიდან, რომიდან, ბუდაპეშტიდანა, კოპენჰაგენიდან და ყოველის მხრიდან ამბავი მოდის, რომ ხელმწიფის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია ამ ქვეყნებში. თამამად შეიძლება იმისი თქმა, რომ ამ ჟამად მთელი ევროპა დამგლოვიარებულიაო.

შემდეგ ვაზ. «Новое Время» ეხლანდელს მდგომარეობას უბრუნდება და ამბობს:

«ეხლანდელი რუსეთი დიდს გულმოდგინებით ვაწმენდილი და დამწვიდებული ნიადაგია, რომელზედაც კეთილი ნაყოფი ამოვა და უხვს მოსავალს მოიტანს. ღმერთმა იწებოს, რომ ჩვენს ახალგაზდა ზელმწიფეს ამ ნიადაგზედ რაე შეიძლება მომეტებუ-

ლი კეთილი ნაყოფი მოეწვიოს ძვირფასის სამშობლოს სასიკეთოდ და სასახლოდ. მისდამიმართ მიქცეულია ამ ჟამად ყოველივე იმედი, სასოება ერისა, რომელსაც სწამს, რომ ღმერთი შთაუწერავს კურთხევითა თვისითა თავისის მიცვალებულის მამის ქეთილსა შრომასა და განსრახვას. სიკმაწვილე აზავის დაუშლის კეთილსა და მშვიდობის ქმნასა, მართლის სიყვარულსა, სიმართლის მოთხოვას ყველასაგან და ყველასზედ უწინ თვით ხელმწიფის მოსამსახურეთაგან. პირიქით სიკმაწვილე კეთილშობილ განზრახვითა, უანგარო გრძობათა და სამართლიანობისა და აღამიანის სიყვარულის ხანაა. რუსეთის ცრი ბედნიერებით განეზიერებული არ არის. მან იცის სიკეთის დაფასება და იმისი გაბედნიერება არც ისე ძნელია.

პეტერბურგში მისვენება და დასაფლავება დუთისმიერ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მეცამის კვამისა.

1 ნოემბერი

პეტერბურგი. ქალაქის სამგლოვიაროდ მოწყობადღეს გათენებისას დასრულდა. ნევის პროსპექტს დიდებული ვლფერი დაედო. ქალაქის გამგეობამ რკინის გზის სადგურიდან დამოკიდებული ნიკოლოზის ხილამდის მთელი ქუჩა სიმბოლიურის პირამიდებით და სექტებით შეამკო, რომელზედაც დიდი შავი ბაი რაღებია დამაგრებული. პოლიციის ხილიდან დაწყებული ზღვათა მმართველობის შენობამდის ათასობით პატარა ბაი რაღები ჰფრიალობს, რომელნიც ჯაჭვით არის ერთმანეთზედ გადაბმული და მთელის ქუჩის სიგანეზედ კამარად გაცოლებულია. ელექტრონისა და გაზების ფარნები შავის მათუდითა და სამგლოვიარო ლენტებით არის დაფარული. სენატის მოედანზედ ამართულია დიდი სამგლოვიარო კამარა-შეკრული კარი, რომელიც დაფარულია შავის მათუდით და შემკული თეთრის გერბებით. აგრეთვე მშვენიერი სახე ხავია ნიკოლოზის ხილი, რომლის ორივე მხარეს მდგომი ფარნები დაფარულია შავის მათუდით და ერთი ფარანიდან მეორემდის გაცოლებულია საუცხოო ხვეული დაფნის ფოთლებისა. მთელს ვაზზედ, რომელიც კორტეგებმა გაიარა, ფარნები ენთო. თავისის

მართულობით ყველაზედ უფრო შემდეგი შენობები იხილავდა ყურადღებას. მისი უღადებულესობის კაბინეტის შენობა, რომელიც ბანიღვან საძირკვლამდის შენობა იყო დაფენილი და ქალაქის საბჭო, რომლის შესავალი კიბეები და ფრანტონები (ФРОНТОНЫ) ხელოვნურად იყო მოფენილი შავის ძაძით. ხალო კოშკის თავზე ფრიალებდა მრავალი ბაიზალი. საბჭოს კიბის ორთავე მხარეს აპარათული იყო უმეფე-ბელი სვეტები საცეცხლურებით, მშენიერად და ხელოვნურად იყო მართული თბილას ქვეყნების ბცენარეულობით, ჰალლანდიელთა ეკლესიის წინა მხარეს თვალსაჩინოდ იყო მოწყობილი სამხედრო სამინისტროს შენობაც.

თბილი, უქარო, მაგრამ მოღრუბლული დღე იყო. ტერმომეტრი 4⁰ უჩვენებდა. ბურუსს გაეხვია არე-მარე. იმ ქუჩაზე, რომელზედაც კორტეჟი მოდიოდა გამწკრავებულნი იყვნენ ჯარის კაცნი და მოსწავლეები. აუარებელი ხალხი იდგა ქუჩებში და ფანჯარა აივებზედ. წარბაზანი გავარდა და კორტეჟიც დაიძრა. თერთმეტს საათზედ მთელი გზა კორტეჟემა დაიჭირა, ასე რომ თავი «ადმიხალტესტვას», მოედანზედ ჰქონდა და ამ დროს სამგლოვიარო ეტლი ნიკოლოზის სადგურთან გაკეთებულ სამგლოვიარო კამარა-შეკრულის კარიდგან გამადიოდა. კორტეჟში აღვილი წეს-რიგის კვალობაზედ ეჭირათ. კორტეჟს წინ მიდიოდა ჯარები: მისი უღიდებულესობის საკუთარი „კანვოი“, ლეიბ-გუსარის, პრეობრაჟენსკის, სემენოვსკის, იზმაილოვსკისა და ეგორსკის პოლკებიდან შემდეგ მოდიოდნენ სასახლის მოხელენი და მოწეს-რიგე. ამას მოსდევდა ორი ბაიზალი საგვარეულო გერბისა და წითელი სამხედრო დროშა. შემდეგ მოჰყავდათ მისის უღიდებულესობის ცხენი, რომელსაც მდიდრული საოფლე ჰქონდა გადაფარებული. მერე მოჰქონდათ 34 ბაიზალი. შემდეგ მოდიოდნენ ცხენოსანთ აბჯაროსანნი, მათს აბჯარით შემოსილები. სახელმწიფო გერბის წინ მოჰქონდათ თერთმეტის ოლქის დროშა. შემდეგ მოდიოდნენ წარმომადგენელნი: გლეხობისა, მკვიდრ-მცხოვრებლებისა და ვაჭრებისა, ქალაქებისა, ერობისა, თავდაზნაურობისა და ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა. აქვე მოდიოდნენ სახელმწიფო მდივანნი და მინისტრები წყვილ-წყვილად. ამათ მოსდევდნენ დეპუტაციები იმ 15 დაწესებულებებისა და საზოგადოებისა, რომელთაც უფლება აქვთ მინიჭებული საიმ-

პერატოროდ იწოდებოდნენ. შემდეგ 64 ბალიშზედ აფიცრებს მოჰქონდათ ორდენები განსვენებულის იმპერატორისა და იმპერატორის სამეფო საკაუთლი-სამღვდელოებას შეადგენდა 250 კაცი, რომელთაც ანთებული სანთლები ეჭირათ, და ყველაზედ უქან-კი, მისი უღიდებულესობის მოძღვარი იანიშვი და დეკანოზი იოანნე სერკიევი მოდიოდნენ ხატებით.

სამგლოვიარო ეტლში შემბული იყო 8 ცხენი. ეტლი შემოაილი იყო ოქროს ფარდულით, გვარგვინით და სირაქლემის ფრთის კონებით. ოთხი-გენერალ ადიუტანტი ეტლზე იდგა და რვა-ეტლს ფარებთან მოსდევდა. სამგლოვიარე ეტლს აქეთ-იქით 60 პაეი ჰოდადა ანთებული ფარნებით. ოქროს კუბო ნახევრობაზედ დაფენილი იყო ოქროს საფარველით, რომელსაც სარჩულად სიასამტრის ტყავი ეკრა.

ეტლს მოსდევდა თვით ხელმწიფე იმპერატორი, პალატოთი, პოლკოვნიკის ეზალეტებით, ხელმწიფეს გვერდით მიდიოდა უელას პრინცი და ამათ უქან-კი გრაფი ვარანცოვ-დამკოვი, გენერალი ჩერევენი, რისტერი, დიდნი მთავარნი, და ამათ სულ ბოლოს მოდიოდნენ ექვს და რვა ცხენიანი შავი ეტლები, რომელშიაც ბრძანდებოდნენ დაქვრივებული იმპერატრიცა მარიამ თეოდარეს ასული, უმადლესად სახელწოდებული საძლო, ალექსანდრა თეოდარეს ასული და სხენი დიდნი მთავრინანი. მთელს გზაზედ სამხედრო მუსიკა უკრავდა. როდესაც სამგლოვიარო ეტლი ტაძართან მოვიდა, კუბო გადმოიღეს ხელმწიფე იმპერატორმა და სამეფო გვარეულობის წევრთ და შეასვენეს ეკლესიაში. კუბოს თავი რვა ფლიგელ-ადიუტანტმა ახადა და დანიშნულ ადგილას დაასვენა. ამას შემდეგ მიტროპოლიტმა პალლადიმ სხვა სამღვდელოების თან-მახურებით პანაშვილი გარდაიხადა და სახარებას კითხვა დაიწყო. პანაშვილი მესამე საათზედ გაათავა. კუბოსთან მუდმივი მორიგობაა დაწესებული.

7 ნოემბერი

პეტერბურგი. დღეს, 7 ნოემბერს, დილის 10^{1/2} საათზე, წახიდაცან სამჯერ გაისრულეს წარბაზანი და ამით აუწყეს იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრის ძის გვამის დასაფლავების ამბავი. პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში შეიკრბნენ იმპერატორის სახლობა, უცხო ქვეყნელნი სტუმრები, მეფენი: დანიისა, საბერძნეთისა

და სეზონის, გემანიდგან მოსული პრინცი ჭინისი პრინციისა, ავსტრიადგან — დუგი კარლ-ლუდვიგი, იტალიადგან — უელის პრინცი და დუგი იოანისა, ესპანია-ნიადგან — დუგი ალბა, მის უმადლესად სასულწოდულის სასმელისა, დიდი დუგი ჭუნისისა, მეუღლე დიდის მთავრისა მარია ალექსანდრეს ასულისა, დუგი საქსონ-გობურგ-გოტისა, რუძინის მემკვიდრე პრინცი, პრინცი: პაპიანისა, ვირტემბერგისა და გემანიის სხვათა სამეფოთა; პრინცი სიმონისა, საფრანკეთის წარმომადგენელი, რომელთაც მეთაურობდა უმთავრესის შტაბის უფროსი გენერალი ბუადეფრი, უცხო ქვეყნის იმ ჯარების წარმომადგენელი, რომელთა შეუადრე განსვენებული ხელმწიფე ითვლებოდა, სასახლის მოხელენი, დიდებულნი, გენერლები, სადილომართო კომუნისა, ახლანი, თავად-პრინციების წინამძღოლნი, გუბერნატორები და ვაჭრების წარმომადგენელი.

ჯარებმა დანიშნული ადგილი დაიჭირეს. ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი, უცხო ქვეყნების მეთენი, უცხო ქვეყნული პრინციები, დიდი მთავრები და დიდი მთავრისა საკრებულო ტაძარში რომ მოხდებოდნენ, წინ მიეტანებენ პეტროგრადის მიტროპოლიტი და უწიმოდესის სინოდის წევრნი, ჯარითა და ნათლის წუადით, რომელსაც ანდრეის აკობა დასრულდა უმადლესს კამთნათს უგანსკელად თეფანი სტეს, შემდეგ მისი უდიდებულესობის ახლისა რვა გენერალ-მაიორმა კუბოს საფრანკული ახადეს და საკურთხეველში შეიტანეს, რვა გენერალ-ადიუტანტმა კი კუბოს სასურავი მოიტანეს, ხელმწიფემ კუბოში პოლონი ჩატანა. რომელსაც კუბოს სასურავი დამატეს, კუბოს ასწავს ხელმწიფე იმპერატორმა, უცხო ქვეყნების პრინციებმა, სამეფო გვარეულობის წევრებმა, მინისტრმა სახლთ-ხუცესმა, გენერალ-ადიუტანტებმა და სასახლის უმთავრესმა მოხელეებმა და მიტროპოლიტის წინამძღოლობით კუბო მიახვეწეს ტაძარშივე მომზადებულს სამარკსთან. ჩამოლოცვის შემდეგ კუბო შიგ ჩასვენეს. ჯარებმა სრულა ასტესეს. მატრე-მაკლეს ტისისა და სხვა ადგილების უოველ ზარბაზნიდგან ეჭვს-ეჭვს ჯერ გაისრულეს. პეტრე პავლის ტისის დროშის ტარსუდ, სამგლოვიარო ბანადის მაგობრად, ჩვეულებრივი დროშა ამართეს.

პეტროგრადი. დამატებანი დასაფლავების დროს არსებულ წეს-რიგისა: ხელმწიფე იმპერატორი, დაჭრიკებული იმპერატორი, უმადლესად სასულწოდულო სასმელი და დიდი მთავრისა ოღვა ალექსანდრეს ასული ერთად მოხდებოდნენ დასაფლავებასუდ შავად შემოსილი

კლდით. ტაძარში საიმპერატორო გვარეულობის მარტენა მხარეს, ადგნენ უცხო ქვეყნების წარმომადგენელი, ხელმწიფისა და დედოფლის შემდეგ ადგნენ სამეფო გვარეულობის წევრნი და მერკი უცხო ქვეყნის სტუმრები. სამარე შეგინდგან ვევილებით იყო შემეფილი, ეს ვევილები შემდეგ სახსოვრად მლოცველებს დაუციგდებოდათ, კუბო პირველად თანა გადთავრებულს ამაღლებულს ადგილსუდ დასვენეს, შემდეგ ჯარის რვა გენერალმა, იმ რაზმების თედლებელმა და განმისტრებმა, რომელთაც შეუადრე ითვლებოდა განსვენებული იმპერატორი, კუბო ტილოებით სმელებით უთში ჩასვენეს და ორი კლიტით დაჭკიტეს. კერძისის გვირგვინების შემეტესობა, ტაძარშივე სვეტებსუდ ჩამოჰკიდეს. სულ 900 გვირგვინსუდ შეტი იყო და ჭლინდა მილიონი მანეთი. გემანიის იმპერატორისაგან გამოგზავნილი გვირგვინი წირვის დროს კუბოსთან ილა. საშვენიერით და სიდიდით უფრო საფრანკეთის გვირგვინები განინჩეოდა. ხელმწიფე იმპერატორი ტაძრიდგან დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან ერთად დაბრუნდა, დედოფალ-კი უმადლესად სასულწოდულო სასმელისთან და დიდი მთავრისა ოღვა ალექსანდრეს ასულთან ერთად.

საკრებულო ტაძრის წინ საპატოი დასაჯად იდგა ლეიბ-გვარდიის გუსართა პოლოგი, რომელთაც იმპერატორი მიესაღმა. ხელმწიფე იმპერატორი წასაბრძანებლად რომ ემზადებოდა, სამხედრო მუსიკამ საკრო საცლობელი დაუგრა. ტისის გასაჯალთან ხელმწიფის დასახვედრად საპატოი დასაჯად დაუენეს ლეიბ-გვარდიის პოლოგი. ქუჩები ხალხით სავსა. მოღრუბლული ტაროსია, მაგრამ კი აჩა სწვიმს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

1 ნოემბერი

პეტროგრადი. სატანტო დედა-ქალაქის ქუჩებმა იმპერატორი ალექსანდრე III დასაფლავების დღისთვის სამგლოვიარო სახე მიიღო; ყველაზედ მდიდრული სამგლოვიარო მორთულობა ნევის პროსპექტსა და იმ გზასა აქეს, რომელსუდაც უნდა გაიაროს კორტეჟმა: სახლები შავით არის შემოსილი, სამგლოვიარო პირამიდები და სვეტები ამართული;

შისის უდიდებულესობის კაბინეტის სასახლე მთლად შავით არის აფენილი. საელჩოების სახლებზედ ბაი-რალები ნახევრად ჩამოშვებულია. დილიდგან დაწყებული დღეს პეტერბურგის ქუჩებზედ არა ჩვეულებრივი მოძრაობაა; ყველა მოწადინებული იყო სახლების სარკმლებთანა და ტროტუარებზედ ალაგი დაეჭირა; ქუჩის ფარნები შავებში ჰბჭუტავდა; ქუჩებზედ ქეიზა და ნაძვის შტოები დაყრილი. 10 საათზე კორტეჟი ნიკოლაევის სადგურიდან და-ძრა და 4 ვერსზედ იყო გაშლილი. კორტეჟში ნაწი-ლი გვარდიისა, ყველა დაწესებულებათა წარმომად-გენელნი, დიდებულნი და მინისტრები იღებდნენ მონაწილეობას. მეორე საათზედ პანაშვიდი გადინა-დეს პეტრე-პავლეს ტაძარში, რის შემდეგაც ხელმწი-ფე იმპერატორი ანიჰოკოვის სასახლეში მიბრძანდა. სასახლესთან დიდძალი ხალხია.

31 ოქტომბერს, როდესაც ხელმწიფე იმპერა-ტორი კრემლის დიდ სასახლიდან მთავარ-ანგელოზის ტაძრისკენ მიბრძანდებოდა, მიჰმართა მოსკოვის თავად-აზნაურობას, ვაქრებს, მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებს და სთქვა: «სამ-წუხნარო და საძინელოა ჩემთვის ენლა ყოფნა მოს-კოვში, რომელიც ჩემს დაუფიწყარს მამას ისე გულ-წრფელად უყვარდა; მაგრამ იმპერატრიცასი და ჩემი მანუგეშებელია ლოცვა და ის ცრემლები, რომელსაც მთელი რუსეთი აფრქვევს ამ განსაცდელის ქვამს. შეე-ვედრი უფალს, რათა მან მომანიჭოს ძალა ისევე ექმსახურო ჩვენს საყვარელს სამშობლოს, როგორც ექმსახურო განსვენებული მამაჩემი, და მისგანვე ნაჩი-ვენებ ბრწყინვალე და სხივოსანს გზაზე წარვიმარ-თო იგი.

* *

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორისა და დიდის მთავრინას ალექსანდრა თეოდორეს ასულის ქორწინების სადღესასწაულო დღეს საზამთრო სასახლეში შეიკრიბებიან: წარჩინებული სამღვდლოე-ბა, უწარჩინებულესნი დიდებულნი, უმაღლესნი კარის-კაცი, გენერლობა, შტაბისა და ობერ-აფიცრები, სადიპლომატიო კორპუსი, და საპატიო სოფდაგრები. დამსწრეთა რიცხვში არიან, მეფენი: დანიისა და საბერძნეთისა, დიდი დუკი ჰესენისა, დუკი საქსონ-

კობურგოგტისა, პრინციები: ვალიისა, რუმინისა, დანიისა და ბადენისა და ბადენის, ბერძენთა მეფის ძე, დუკი იორკისა, პრინცი ჰენრიხ პრუსიისა. ჯვარის წერის შემდეგ მათნი იმპერატორებთნი უდიდებუ-ლესობანი სადღესასწაულო ეტლით წაბრძანდებიან ყაზანის საკრებულო ტაძარში და მცირე პარაკლითის შემდეგ მობრძანდებიან ანიჰოკოვის სასახლეში.

* *

ხელმწიფე იმპერატორის ნებართვით, როგორც იტიან მკითხველებმა, მთელს რუსეთში განსვენებულის ხელმწიფის ძეგლის დასადგმელად ფული იკრიბება. გაზ. «Рус. Жизнь» ამბობს:

«კარგი იქნება, ისეთი რამ ძეგლი დადგათ, რომ არც დრო-ქამმა და არც სხვა რაიმე გარე-მოგბამ არ აღგავოს იგი დედა-მიწის ზურ-გიდანაო, ამისთანა ძეგლად სამართლიანად ის უნდა ჩაეთვალოთ, თუ განსვენებულის სახსოვრად მთელს რუსეთში ყველა წოდებისთვის საერთო სა-ვალდებულო განათლება იქნება შემოღებული, რომ-ლისთვისაც მთავრობას დასჭირდება 15—35 მილიონი მანეთიო. ამ ფულს ადვილად ვიშოვიოთ, თუ შე-მოსავლის კვალობაზედ გაწერილი გადასახადი შემო-ღებულ იქნა ჩვენში. ამ აზრის განხორციელებას უნდა ისწრაფოდეს ყოველი განათლებული და ნამ-დვილი მამული შეილიო».

სწორედ რომ კარგი საშუალება უპოვნია რუ-სულს გაზეთს განსვენებულ იმპერატორის სახელის უკვდავ საყოფელად.

* *

«МОСКОВ. ВЪДОМ.» სიტყვით, სახელმწიფო საბჭო ამ დღეებში განიხილავს მოხსენებას იმის შესახებ, რომ 1895 წლიდან კრედიტის 500,000 მანეთი მოეპატოს ქალაქისა და სოფლის სამღვდე-ლოების ჯამაგირებისათვის.

ღმერთმა ქმნას, რომ ჩვენს საექსპარხოსოს სამღვდელოებას რამე რგებოდეს ამ დანიშნული ფუ-ლებიდან.

* *

ჩვენ ნამდვილად შევიტყუეთ, რომ სამეგრელოს სამღვდლოები კრება დანიშნულია 22 და 23 ამა ნოემბერს. ამ კრებაზე დეპუტატებს, გარდა მორიგი სსწავლებლის საქმეთა გარჩევისა, მსჯელობა ექნებათ სასწავლებლისათვის სახლის აშენებაზე და მისთვის ფულების შეგროვებაზე.

* *

პეტრბურგის გუბერნიის უკუა კრების სკოლებში განზრახვა აქვსთ შეადგინონ მკალობელთა გუნდი, რომ ეს გუნდი გააღობდეს სოფლის ადგილობრივ ტაძრებში კვირე-უქმე დღეებში.

* *

გაზეთებიდან იცით, რომ მოსკოვში ორთქლით მატარებლები დაეჯახნენ ერთმანეთს, ვაგონები დაიშხერა და რამდენიმე პირი დაიხოცა და ზოგნიც დაშვიდნენ. თურმე ერთ ამ მატარებლის პირველ კლასის ვაგონში ბრძანებულია სინოდის ობერ-პროკურორი კ. პ. პობედონოსცევი, რომელსაც სრულებით არა დაშავებია რა.

* *

ფოთის საკათედრო სობორის დიაკონის გიორგი გეგეჭკორისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

მამაო რედაქტორო!

ქ. ფოთში ნაწინაბ მეგობართა შორის გაგმართე ხელის მძწერა და რასამდე ქართულ-რუსული წიგნი შეეკრებო, რომლებიც გადაგვი მარტვილის სამეგალითა რკლასიან სამეგალ სკოლის გამგეს ბ-ნ ბობახიძეს, რომელიც, იმედია, ამ წიგნებს გაავრცელებს ხალხში წასაბითხად და შემდეგ ამ წიგნებს დაიტანს ისევე წიგნთ-საცაში. ამასთანავე ვაღად ვრატნ უგულუთადესი მადლობა გამოუცხადო უკუა იმთ, ვინც ხელი გამამართა ამ კეთილ საქმეში და თავისი წვლადი არ დაიშურა. ვასურვებ, რომ ამ ქველ-მამქმედთ მიმამეგლნი აღმასწავლებლნი და ქვეუნი გულშემატკივართა მზრუნველობით სამეგალს უოკელ ვუთხეში დაწესებულაუას სამეითხველო და წიგნთ-საცავები.

მიიღეი დასავლეთის საქართველოის სამღვდლოების წარმომადგენელთა კრება ქ. ქუთაისში. *)

უკანასკნელს სხდომაზე სამეგრელოის ეპარქიის ზოგეერთმა დეპუტატებმა მოსთხოვეს თამჯდომარეს, რომ მას წაეკითხა ის თხოვნა, რომელიც ბებურიშვილის მეუღლისაგან იყო გამოგზავნილი კრების სახელზე. თავმჯდომარემ წაიკითხა ხსენებული თხოვნა. ბებურიშვილის მქვრივი აცხადებდა თავის თხოვნაში, რომ ქუთაისში, საფირჩხიის ეკლესიის მანლობლად მაქვს სახლი და ეზოა, რომელსაც მივჰყიდი სამღვდელოებას სემინარიისათვის თექვსმეტი ათას მანეთადო, სახლი ისეთი არისო, აცხადებდა მთხოვნელი, რომ სამღვდელოებას ბევრი ადარაფერი დასჭირდება ხსენებული სახლის გადასაკეთებლად, რომ სემინარიის შენობად გამოდგესო და ამიტომ სამღვდელოება მეტად მოგებუელი დარჩებაო. თორმეტიოდე ბლადოჩინ-დეპუტატნი სამეგრელოდან და გურიიდან დიდს სურვილს აცხადებდენ, რომ ხსენებული შენობა თავისი ეზოთი ეყიდა სამღვდელოებას, მაგრამ ნამეტანი ნაწილი დეპუტატებისა კი წინააღმდეგი იყო ამ აზრისა. თავსმჯდომარე დაეკითხა კრებას: აქვს თუ არა სამღვდელოებას ფულები ამ სახლის სასყიდლად? შემოსხენებული დეპუტატები აცხადებენ: «ჩვენ ერთი გროშიც არა გვაქვს ამ სახლის სასყიდლად, მაგრამ ჩვენ დავადგინოთ მისი უიდევა და უწმიდესი სინოდი იყიდისო»... იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატებმა გამოუცხადეს სამეგრელოის ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელთ, რომ ადგილი სემინარიისათვის შენობის ასაგებად უკვე გამოჩრეუთია და სხვა ადგილის შეძენა საჭირო აღარ არის. ამ ადგილისთვის არც ფულებია საჭირო და, თუ გსურთ, შეგიძლიათ ამ ადგილით ისარგებლოთ, და თუ თქვენ ეს ადგილი არ მოგწონთ, სადაც გნებავსთ, იქ გამოიჩრეით ადვილი და ფულებიც თქვენ მიეცითო...

*) იხ. «მწვეთის»-ს № 20 1894 წ.

დაბოლოს წაიკითხეს შედგენილი ქურნა-
 ლები იმ კითხვების შესახებ, რომლებზედაც
 კრებას მსჯელობა ჰქონდა და რომელთა შესა-
 ნებ დეპუტატებმა თავისი გარდაწყვეტილება
 დაადგინეს; ყველა დეპუტატებმა მოიწონეს
 ქურნალები და მზად იყვნენ ხელი მოეწერათ.
 ამ დროს დეპუტატმა ბლად. დეკანოზმა გიორგი
 ბერიძემ სთხოვა კრებას, რომ ადგილის გამორ-
 ჩევა სას უღიერო სემინარიის შენობის ასაგებად
 მიენდოსთ ადგილობრივ მღვდელ-მთავრებს და
 ამ კითხვის შესახებ დანიშნული კომისიის
 წევრთა ადრჩევის გამო შედგენილი ქურნალი
 გაუკმდესო. მ. ბერიძის სიტყვის გამო საშინელი
 ხმაურობა ასტყდა კრებაზე სამეგრელოის ეპარ-
 ქიის სამღვდელოების დეპუტატების მიერ. სა-
 მეგრელოის და ოზურგეთის სამღვდელოების
 ათიოდე დეპუტატი ამ აზრის წინააღმდეგნი
 იყვნენ და თხოვილობდნენ, რომ ხსენებული
 კომისიის წევრებს მისცემოდათ სრული უფლება
 სემინარიის სახლის ასაშენებელი ადგილის გა-
 მორჩევის შესახებ. იმერეთის სამღვდელოების
 დეპუტატები და გურია-სამეგრელოის ეპარქიის
 დეპუტატებიც ოცამდის ამ აზრს წინააღმდეგნი
 განდენ. ბევრი ეცადა თავმჯდომარე კრებისა,
 რომ დეპუტატები როგორმე შეთანხმებულ იყვნენ
 და რაიმე უწყისობა და უთანხმოება არ ჩამო-
 ვარდნილიყო მათში, მაგრამ ეს ძმური რჩევა
 არ მიიღო გურია-სამეგრელოს 10 ბლადოჩინ-
 დეპუტატებმა, მათ უარი განაცხადეს კრებას
 ქურნალებზე ხელის მოწერისა და კრებიდამ
 გავიდნენ. მათ თან გაიყოლიეს რამოდენიმე
 დეპუტატნი მღვდელნი. დანარჩენმა დეპუტატებ-
 მა ხელი მოაწერეს ქურნალებს. როდესაც კრება
 დაიხურა და თავმჯდომარე და დეპუტატები შინ
 მიდიოდნენ, ზემო აღნიშნულმა 15 ბლადოჩინ-
 დეპუტატებმა სთხოვეს თავმჯდომარეს, რომ იგი
 კრების დარბაზში დაბრუნებულიყო. თავმჯდო-
 მარემ ადარულა მათი თხოვნა. შევიდა თუ არა
 თავმჯდომარე დარბაზში, 15 ბლადოჩინ-დეპუ-
 ტატებმა მისცეს თავმჯდომარეს შემდეგი მინაარ-
 სის განცხადება: თავმჯდომარემ არ მისცა კრებას
 ნება მსჯელობა ჰქონებოდათ სემინარიის სახლას ასაშე-
 ნებელი ადგილის გამოჩევის შესახებ, ბოლოს მოგვცა

ნება, მაგრამ რადესაც ქურნალი შეკადრებთ კამისიის
 წევრთა აღჩევის შესახებ, დეპუტატებმა ხელი არ
 მოაწერეს და თავმჯდომარემ ძალა არ იხმარა, რომ
 შეეღა დეპუტატებისათვის ხელი მოეწერებინა ამ
 ქურნალსო. თავმჯდომარემ კენჭი ხამოუტარა დეკანო-
 ზებს მ. მ. გ. ცაგარეიშვილს და ი. ჭეიშვილს მათ
 უნებუნად და შეუტეობლად; ჩვენ ერთხმად გვისურდა
 აკვანჩა უკნტოთ დეკანოზი გ. ცაგარეიშვილი სასუ-
 ლიერო სემინარიის სამმართველოს წევრად, მაგრამ
 თავმჯდომარემ განცხადა: „თუ სხვა კანდიდატებზე იქნა
 კენჭის ურა, იმასაც უნდა ხამოუტაროს კენჭიო“. მიმ-
 ხედავრ ამ უწყისობისა, ჩვენ კრების არც ერთ ქურნალზე
 ხელს არ ვწერთ და ითხოვდენ, რომ მათი განცხადება
 კრების ქურნალთან წაქედგინა, სადაც ჯერ იყო.
 ხსენებული განცხადება მოითხოვა დეპუ-
 ტატმა მღვდელმა, სემინარიის კურსოვნიკმა,
 თოთიბაძემ და თავის მხრით შემდეგი აზრი
 დაუმატა: ამ განცხადებაში აღნიშნულ უწყისობათა მე,
 ჩემის მხრით, უმატებ, დაწერა თავის ხელით მამა
 თოთიბაძემ, შემდეგ: სემინარიის სამმართველოს
 წევრების თანხმდობაზე ორ კანდიდატზე კენჭის ურას
 დროს არ დასწრება ორი დეპუტატი, რომელნიც
 შემოვიდნენ კრებაზე მესამე კანდიდატის აღჩევის დროს
 და მიიღეს მონაწილეობა კენჭის ურასა და
 თავმჯდომარემ არ დაითხოვა ისინი, რომ მესამე
 კანდიდატის კენჭის ურამაც არ მიეღოთ მონაწილეობა.
 თავმჯდომარემ კრების ყველა ქურნალები
 ზემოხსენებული განცხადებით და თავის მოხსე-
 ნებით წარუდგინა მის ყოვლიად უსამღვდელოე-
 სობას, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს. მათმა
 მეუფებამ, შემდეგ ქურნალების განხილვისა,
 სრულიად გააუქმა კრების ყველა დადგენილო-
 ბანი, ვინაიღვან გურია-სამეგრელოის ეპარქიის
 უმრავლეს დეპუტატებს ჯეროვანი რწმუნება
 არა ჰქონდათ სამღვდელოებისაგან, და ამ გარე-
 მოებისათვის კი უურადდება არ მიექცა კრების
 დროებით თავმჯდომარეს ბლად. დეკანოზს მ.
 ი. ვაცაძეს, რომელმაც შეადგინა დეპუტატების
 სია და რომელმაც მოახდინა კენჭის ურა კრების
 თავმჯდომარის აღსარჩევად. გურია-სამეგრე-
 ლოის სამღვდელოების წარმომადგენელთა
 უმეტესი ნაწილი იყვნენ ბლადოჩინები, რომ

მეღნიც გამოცხადდენ დეპუტატებად და განაცხადეს, რომ ჩვენ უოვლად სამდვდელო გრიგორი ეპისკოპოსის მოწერილობის ძალით ვართ დეპუტატად მოწვეუდნიო. მაგრამ ეს სარწმუნო არ იყო. მართალია, უოვლად სამდვდელო მისწერდა ბლადოჩინებს, რომ მეგიძლიათ თქვენც იქმნეთ ადრჩეუდნი დეპუტატებადო, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, ჩემი მოწერილობა დაიკავეთ ხელში და წადით კრებაზე დეპუტატებად! არა, თუ სამდვდელოება ადგირჩევთ, მაშინ წადითო. ყველამ უნდა იცოდეს, რომ დეპუტატებს უოვლად სამდვდელო კი არ ირჩევს, არამედ სამდვდელოება.

აი ასე უნაყოფოდ დასრულდა ქუთაისის სემინარიის საქმეების გამო სამდვდელოების პირველი კრება და ეს იმის ბრალია, რომ უმეტესი ნაწილი დეპუტატებისა სიხარულით მობრბიან კრებაზე, მაგრამ ის კი არ იციან, თუ როგორ იმოქმედონ კრებაზე, რადგან მათ წაკითხული არა აქვსთ სამდვდელოების კრებათა წესდებულებანი და ამ წესდებულებათა ძუნღლების განმარტებანი, სხვა და-სხვა დროს მოხდენილნი უქმ. სინოდის მიერ და გამოცხადებული უქაზები სამდვდელოების საცნობელოდ და სახელმძღვანელოდ.

ენლა ხელმეორედ უნდა მოხდეს სამდვდელოების კრება ორივე ეპარქიაში ქუთაისის სასულიერო სემინარიის საქმეებისა გამო, მაგრამ ცაფ-ცაფგე. ვნახოთ რას იტყვიან ახალს და რა უკეთეს წყაროებს ადმოაჩენენ.

ყოველივე ამის შემდეგ მკითხველი დარწმუნდება, რომ ორმოცი ათასი მანეთის შეწირვა სამდვდელოების მხრით სემინარიის სასარგებლოდ და სხვა-და-სხვა მჭევრმეტყველობა დეპუტატებისა საერო ქურხალ-გაზეთების გამოცანება არის და არა სამდვდელო ამბავი.

და ბოლოს სულით და გულით ვურჩევთ სამდვდელოების დეპუტატებს ისარგებლონ სამდვდელოების კრებათა უფლებებით და საზოგადოებას დაუმტკიცონ, რომ მათთაც შეუძლიათ თავიანთ საქმეებზე მსჯელობა. ამისათვის მარტო ხმადაა ლაპარაკი და «ორატორობა» კი არ არის საჭირო, არამედ აუცილებლად საჭიროა კანონების ცოდნა და შეგნება, რომ თითოეული დეპუტატის მსჯელობა ეთანხმებოდეს სამდვდელოების კრებათა წესდებულებას და კანონმდებლობას.

დამსწრე.

მწარე ფიქრები.

ერთი თვე მომწყდარი ვიყავით ჩვენს სამშობლო კვეყანას. ძვირათ ვტყობილობდით ორი ათასი ვერსის სიშორეზე ჩვენი საქართველოს ცხოვრების ამბებს და ჩვენი ლიტერატორების მოღვაწეობის სასიხარულო ამბებს. სადაც კი ჩამოვარდებოდა საუბარი ჩვენ გაზეთებზე და ჩვენს „პუბლიცისტებზე“, რაც შეიძლებოდა, ეაქებდით და ვადიდებდით მათ. დამორბეული ადგილიდამ რაღაცა უფრო გიყვარს ყველა შენიანი და პატივსა სცემ ცოტა მშრომელსაც. მოველი ჩემს სამშობლოში. მივდექი გაზეთების დახვედბული ნომრების გადახედვას და, ვაი, რა დაინახე ჩემა თვალემა! ვაი რა შევიტყვე! ნაცვლად საქმეზედ ლაპარაკისა რა ჩხირ-კედელაობა, რა წყლის ნაყვა, რა ძვირფასი დროს დაკარგვა! ღპერთო, რამდენი უწერიათ, რამდენი უშრომიათ და რამდენი უკინებიათ ერთმანეთი? მერმე არ იტყვიოთ რაზე? „ალიარებს“ უნდა ითქმოდეს, თუ „გალიარებო“. ამკითხვის განმარტებაზე დაქანცულან და დაღალულან ჩვენი საუკეთესო მუშაკნი. ერთი გუნდი მოღვაწეთა რომ ამ ადაჩკებ-გადაჩკების განმარტებით აპრელებენ გაზეთებს და მკითხველებს აფრთხობენ უშვერი დანძღვა-გინებით, მეორე გუნდი იპონელებივით თავ-გამეტებით იბრძოდენ და ამტკიცებდენ, რომ ქვა-გუნდა აკაკიმ კი არა სიმონოვიჩმა აღმოაჩინაო!... მერე რაო? რაო და გავკეთდით და ავშენდით, თუ დავამტკიცეთ, რომ გადაჩკებ ითქმის და ქვა-გუნდა აკაკიზე წინ სიმონოვიჩმა აღმოაჩინაო!.. ამის მეტი აღარა გვაკლია რა!..

უნებლიეთ მაგონდება სევნები, რომელთაც ასამართლებდენ ქუთაისის ოლქის სასამართლოში ბეროში ამბონების ჩადენისათვის. მოსამართლეები რომ ღირსების ახლას და ციპირში გაგზავნას უკითხავდენ დამნაშავეთ, ისინი მსაჯულთა საყელოებზე დაკრებულ ბრჭყეილა სირმებს შესცქეროდენ და მით სიამოვნებდენ. მათი ყურადღება თითქმის ამ სირმებზე იყო მიქცეული. ველური ხალხის ყურადღებას, რასაკვირველია, ყოველთვის გარეგნობა იქცევს და არა გონივრული მსჯელობა. მაგრამ ნუ თუ კიდევ ველური ვართ?.. არა, ველურს რა გვიგავს, მაგრამ ყველა ეს გვემართება იმ როკაპისგან, რომელიც სთესავს ჩვენ ში ბოროტებას. გადაგვიშლის გაზეთის

ფურცლებს იმ მიზნით, რომ მწერლები ერთი მეორეს გადაჰკიდონ და გადაამტერონ. ერთი მეორე ლანძღონ, და თათბონ, ყველა კაცს ნაკლულეა ეპოპეა-რას, თუ არ არის, მაიგონოს, შეთხზას და თე-თან კა ყველაზე უმანკოთ გამოვიდეს. ამათ ვერ მიმხედრან ჩვენი მწერლები, ამისთანა ერაკობა ვერ შეუტყვიათ როკაპისა და ეჩხებიან ერთმანეთს სრუ-ლებით უბრალო კითხვებასა გამო... სწორედ დიდი სამწუხარო და სატრალია ამისთანა მოე-ლენა ჩვეთვას მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს...

* *

შველას კარგად ახსოვს, რომ წინანდელ დროში ჩვენს მონასტრებში ვარდა ღვთის ვედრებასა და სამახურისა, სხვა ბევრ სასარგებლო საქმეებსაც აკეთებდნენ. რომელ მონასტერშია უნდა მისულა-ყო, ყოველგან შევედრა მოგვებობა ამ მონას-ტერში მცხოვრებ ბერთავე ვაკეთებულ სხვა-და სხვა ნივთები: ჯვრები, ხატები და სხვები. ჩვენ კარგად ვახსოვს გელათის მონასტრის ერთი ბერი, რომელიც აკეთებდა ჯვრებს; ამ ჯვრებზე ხელჯ-ნურად იყო ჩუქურთმით ამოჭრილი თორმეტე საუფ-ლო დღესასწაული. დღეს ჩვენს მონასტრებში მსგავს ხელოვნებას ვეღარ ვხედავთ. ჩვენი მონასტრები სწორედ ფუტკრების დასუსტებულ სვეს ემსგავსება, რომლებშიაც, სვეში, მხოლოდ ოროდ-სამი დღე ფუტკარი დაღალავს კიდევ და თავლი შემოლევას! საზოგადოება ბრალსა სდებს ჩვენი მონასტრების გამკეთ, რომ ეს მონასტრები დღეს ასე დაძაბუნ-ბულან, მაგრამ დახარებას კი სრულებით არაფერ ფიქრობს. ნუ დაივიწყებთ, რომ ძველ დროში ჩვენი მონასტრები უმეტეს ძალღონეს საზოგადოებისა და სამღვდლოებისაგან იღებდა და ცხლაც ასევე უნდა იქნეს, თუ გვეურს ჩვენი მონასტრების წარმატება. ფუტკრები მხოლოდ მაშინ ავიებენ თავლით ფიქრებს, როცა ბევრი ყვაფილა და მასთან ბუნებაც ხელს უწყობს მათ. ესევე შეგვიძლია ვთქვათ ჩვენი მონასტრების შესახებაც...

* *

სწორეთ საკვირველ მსჯელობას შეხედება ხში-რად კაცი ზოკიერთ ყურნალ-გაზეთებში. აი რას ვკითხულობთ გაზეთ «ივერია»-ში:

ქალების სამრეკლო სკოლის დამაარსებელმა ტა-ტიშვილმა, რომელიც თავმჯდომარე გუბან-სამეგრელო

საკმატეო სამოსწავლო საბჭოს განუყოფილებისა, და-გალა გუბიის ბლადონანებს: მახადანეთ სამღვდლო-ბის კრება ცალკე-ცალკე საბლადონანებში და მოალმა-რავეთ, რომ რეფორმის დედათ სამრეკლო სასწავ-ლებლის გასარკვლავსაინებლად რამე წყნარ აღიჭურ-ნონო. სამწუხაროდ, ბლადონანებისაგან ამ კვთაღ და სსარკვებლო საქმის შესახებ ჟურნალბობით ანკითარბი მასურსა არ მოსულა. მსალოდ რეფორმის ბლადონანმა მ. ა. თახამიშ მანქნა ამ საქმეს ჟურნალბა უუ-რადღება და სექტემბრას 16 შეკრება სამღვდლოება. განუმარტა რა დედათ საჭარბა მათ შეიღთათეას რ-კლასიანი დედათ სასწავლებლელა და სთხარბა—ამ კვთაღ საქმისათვის არ დაიშურბან და დრამას ფუღადგან გა-დასდონ რ-რბა ბრბრბტა. თუმბა ჩვენს სამღვდლოებას დრამის ფუღებიდან ისეც ცრბტა რბება თევის-თეინ, მარბამ მინც მ. ბლადონანს სრულა თანსმბბა გამოფრსდეს. მ. ბლადონანმა სამღვდლოებას თან-გმბრბბისათეის მადღობა მოახსენა და თან დასმინა: რადგან მარბტა ერთს საბლადონანებში დრამის ფუღათ შეგრბეილი რ-რბა ბრბრბტა დადს ვერას შეადგენს და ვერც სკოლის საბჭოს გაშდვება, მგინაა სჭობდეს, რომ სხვა წყარბრც მოუბბნონ ამ სასწავლებელს: 1) ჭბრთულს ენაზედ არ მოიბრბება მღვდლოთათეის სახელ-მღვანელა წიგნი, (1) რას გამბრც ბეკრა ჩვენა მღვდლო დადს გაჭბრბებაშია ჩეარბნილი და წესაეჩად ვერ ასრულბს წიგრა-ლოცვას. ამბტრბ კრბმბტრბტა დაარს-დეს მბრდნე მღვდლოთაგან, (სად? რეფორმბმა?) და დაეულოს შედგენა წიგნებისა და დასტამბება; სლო-კრბბამი მუბმდგომბლს მისეოკვლად უსამღვდლოესობის, გუბია-სამეგრელოს ებასკომბრას კრბგოჩის წინაშე, რათა უველა ეკვლესიები ვალდებული გახადონ—შეიბი-ნონ სსენებული წიგნება და შეიოსავლა აჭედგან გადა-ისადონ რეფორმის დედათ სამრეკლო სკოლის სა-სარკვებლოდ. 2) ვინაიდგან უმეტესობამ ჩვენა სამღვდლოებისამ არ იღვის კანონაეჩად და რბეინად შედგენა სხვა-და-სხვა მოწმობისა, (!!!?) ამბტრბ დასტამბონ ბლანკები, დაუჩბგდეს მთელს გუბიას სამღვდლოებას, ამათ მოწმობაში აიდონ სლომე თათბ აბაზა (?) და ეს შემოსავლიც სსენებული სკოლის სასარკვებლოდ გა-დაიდონ. იმედია, ებასკომბრის ჟურნალბის უუჩადღებას მანქნებს ამას, მათ უმეტეს, რომ თეითბრბე სურს სე-მობსენებული სასწავლებელი გააუმჯობესონ და რბგოჩრც გავიგე, განსრბსება აჭეს: რბსნი თეინა შესწირონ.

კრება საიმევენბით დასთანბდა მ. ბლადონანის წინადადებას. რბგოჩრც ხედავთ, ამ კრებაში მშენიერბ

მაგალითი უნკენა სსკა გუნიას საბლადოჩინო მღვდლებს.
(?! x!) ეხლა, იმედია, ისინიც მაქვამკენ ამ კრების მაგალითს და ამ სასწავლებლის სასარგებლოდ აჩახ დაიშურებენ.

ნუ თუ ყველა საბლადოჩინოებში შეადგენენ სახელმძღვანელოებს?!

თუ გინდათ უცხო გარდაწყვეტილება სამღვდლოების კრებისა, აი ეს არის! სამღვდლოება ნიშნავს კომისიას, რომელსაც ავალეებს ისეთ სახელმძღვანელოებს შედგენას მღვდელთათვის, რომ ამ სახელმძღვანელოების შემწევობით სამღვდლოებამ ყოველივე გაიგოს და არაფერი შეცდომა არ ჩაიდინოს! 14 წელიწადი კაცს გასწავლიან, ყოველივე საგანს გიმარტავენ, გიხსნიან, მრავალ სახელმძღვანელოებს გაკითხებენ და გაძლიერებენ ხელში, მაგრამ მაინც არა გისწავლია რა და არც გაგიგია. ეხლა სოფლის რამდენიმე მღვდელს ნიშნავ, რომ იმათ ისეთი სახელმძღვანელო შეადგინონ, რომ ამ სახელმძღვანელოების შემწევობით ყოველივე შეცდომას ასცდეს!.. სწორედ უსუსური მსჯელობა და ფუჭი იმედი!..

* *

ეს 26 წელიწადია, რაც სამღვდლოების კრებებია შემოღებული. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამე კეთილი საქმე გააკეთა ამ კრებებმა. სამღვდლოების კრებებმა წყალობით გამშვენდა და უზრუნველ ყოფილ იქმნენ მრავალი სასულიერო სასწავლებლები. მაგრამ მიუხედავად ამებისა, ზოგიერთი ძლიერ ამცირებენ ამ კრებათა მოღვაწეობას. ასეთ მსჯელობას ეს პირნი აფუძნებენ იმ გარემოებაზე, რომ ხშირად დეპუტატნი შეცდომაში ეარდებიან და წესდებულებას გადადიანო. სამღვდლოების კრებათა შესახებ წინა დროებში გამოცემული წესდებანი, მართალია, შემდეგში მრავალ გზის ახსნილ და განმარტებულ იქმნენ, მაგრამ ეს ახსნა-განმარტება ფუჭად მიდის. უმეტესი ნაწილი დეპუტატებისა სრულებით უცხონი არიან ამ წესდებულებათა და განმარტებათა ცოდნას. ამას ცხადათ მოწმობს საქციელი ზოგიერთი დეპუტატებისა. ზოგი მათგანი ფიქრობს: თუ ხმა მაღლა და დიდხანს ვილაპარაკე, წესიერი იქნებაო, მაგრამ ძლიერ მოტყუებული არის, ვინც ამას ფიქრობს!..

მართალია, ერთი საბლადოჩინო სამღვდლოების კრება სხვა და ეპარქიის სხვა, მაგრამ სამწუხაროდ, ბლადოჩინის მამა თოხაძის მსგავს მსჯელობას მრავალნი საეპარქიო კრებაზედაც წარმოთქმენ ხოლმე!.. სწორეთ სამწუხაროა, განვიმეორებთ კიდევ, რომ

ეხლანდელ დროის ზოგიერთ ნასწაველ დეპუტატებთ არ წაუკითხავთ სასწავლებლების წესდება და სამღვდლოების კრების შესახებ კანონმდებლობანი ერთჯერაც არ გადაუთვალთვლიათ!..

* *

ოცდა ექსი წელიწადი სრულდება მას აქეთ, რაც სასამართლოს ახალი წესდებულება მოქმედებს და ამ დროის განმავლობაში ზოგიერთ მომრიგებელ მოსამართლეებს ჯერ კიდევ კარგად ეყრ შეუგნიათ ეს კანონები. ხშირად საკვირველება ხდება, აი ფაქტები: ერთ ოლქის სასამართლოში ასამართლებდნენ ექვს კაცს ერთსა და იმავე საქმის გამო. ხუთი გასამართლეს და გაგზავნეს ციმბირში, მაგრამ მეექვსე არ დასწრებია საქმის გარჩევას ავადმყოფობისა გამო. ეს ბრალდებული მორჩა, დანიშნეს მისი საქმე გასარჩევად. საწყალი ბრალდებული დამცველს ეძებს. მაგრამ არც ერთი ვეჭილი არ ღებულობს თავზე ამ დანაშაულის დაცვას, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ მისი გამართლება შეუძლებელია. საბრალო ორას თუმნობით იძლევა, მაგრამ მაინც არაინჰკიდებს ხელს. დაიწყო გასამართლება. მოსამართლეები სრულიად ამართლებენ ბრალდებულს და ანთავისუფლებენ!.. იქნება სხვა რამე გარემოება აღმოჩნდა? მეტყეით თქვენ. სრულებით არაფერი. საქმე ეს არის, რომპირველად ხუთის გასამართლებაზე ორი წვერი რომ იყო, ისინი მეორეზე არ დასწრებიან... ან პირველები დაისაჯენ უმართლოდ და ან ეს მეექვსე დამნაშავე გამართლეს უსამართლოდ. ამას გვეუბნება ლოლიკა. მეორე ფაქტი. გინდათ ტყუეილა გარდაახდევინოთ ფულები ვისმეს? როდესაც ხუთიოდე კაცს უჩიოდეთ ფულებს, ერთი ტყუეილა ჩაყოფით ამ ხუთიოდ პირთან. ხუთი იტყვის: რასაც გეჩივის ეს კაცი, მართალია, მაგრამ დროს გთხოვთ მოგვეცეთო. მოსამართლე, ორი-სამი პირისგან თუ ცნობილია საჩივარი, დაუსწრებელ პირებზედაც დასწრებულ განჩინებას ადგენს და შენს გულში რომ არაფერია, ბოქაული აღმასრულებელი ფურცლით მოგადგება სახლში! ეს ახალი კანონიაო, ბრძანებენ ზოგიერთი მოსამართლენი!..

სოფლის მღვდელი.

ორი სასწორმეტყველო შენიშვნა,

ამჟამინდელის «ივერასა» და «კეალს» უფა ამტყდარის კამათობის შესახებ ჩემს მოწაფეებელ ყოფილნი პირნი, თუ პირადათ, თუ წერილობით სხვადასხვა კუთხითგან, მეკითხებიან: ვინ მართალიაო მათში? ვის მათში ახელმძღვანელებსო ნამდვილი და ჭეშმარიტებისადმი სიყვარული და ვის პირადი ანგარიშებიო? ზოგნი შემომკითხავთაგანი კერძო საკითხებს მიყენებენ: «აღვიარების» და «ვადვიარებას», «ქეკიანის» და «ქკუთერის» შესახებ რა აზრისა ხარო? ზოგი რას და ზოგი რას...

ყველას რომ სათვითაოთ პასუხი გავსცე, ამ წელიწადში ამის წერას მოვუწოდებ. ვარჩიე, ისევე ბეჭდვითი სიტყვით გავცე ყველას საერთო პასუხი. მაგრამ პირველის ორი საკითხის შესახებ რომ პასუხი დაგწერო, უნდა გადმოვებრუნო ჩვენი მთელის ამ ზუთის წლის პუბლიცისტიკა; უნდა დავახასიათო ჩვენებურის პუბლიცისტიკების მოღვაწეობა; უნდა მათი საპუბლიცისტო ქურჩი გადმოვატრიალო და სარჩულისაპირედ გავუხადო; უნდა «ბანკობის» ისტორია აღვადგინო მოკლედ მაინც. ოჰ, მაშინ...

ენა და შერების, მსმენლისა ყურნიცა და გავლდებიან, გასტქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ზორცთა ხვდებიან.

ამ ხელად მხოლოდ უკანასკნელ საკითხზე დაგწერ ჩემ შენიშვნას. თუ ამაზე მართებული პასუხი მივიღე, თუ, ვისიც ჯერ არს, თავისს შეცდომას საჯაროდ აღიარებს, თუ კამათობა მართა საქმი- შესახები იქმნება და არა მკითხველების გულის- გამაწყალებელი, როგორც დღეს არი, მაშინ ჩვენც ვავაგრძობთ «სასწორმეტყველო შენიშვნებს», თუ არა და ამით შეგწყვეტთ.

ამ ყბადაღებულის სიტყვის «აღსაარების», თუ «აღიარების» ფესვად ბ. სიმონიძე ასახელებს სიტყვას რება. ამისგან გამოუყვანია მას უცნაური ფორმები: ღიარება, ვადვიარებ, ვადღიარებ, მადღიარებ, უღიარებია, აღიარებული და მისთანები.

ბ. სიმონიძე იპასუც ამტყიცებდა, ვითომც სიტყვაში აღსარება აღ თავსართი როდი არისო, ისიც ფესვს ეკუთვნისო და ამიტომ პირის მიჩვენებელი გ თავში უნდა მიერთოსო; სიტყვა საარება კი არაფერს არ ნიშნავსო... სწორეთ აქ არის შემტდარობა ბ.

სიმონიძე და «ძალიც სწორეთ აქ მარნია». საარება თავისთავადი სიტყვაა და ფარსაგის ცნების სამ-სეულ-ცის ნიშნავს: აკლებას, დაცალიერებას, გადატაკებას, განადგურებას, კეშანს, გაუბედურებას... რუსულათ, თუ გნებათ оустошение-ს და მით. ეს არი ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა, მოკადვითის საგნის აღსანიშნავათ. ახლა რომ ეგ სიტყვა გადაე- ტანოთ განყენებულ საგანზე და ვინმართ მოარაკე- ბით ანუ მეტაფორულად, გამოვა მაგალითად, «გული საარებელი», ე. ი. გული ივარკმული, დამძიმეუ- ლი, შემუსრული, დაკეშნებული. თავისია პირ- დაპირი მნიშვნელობით ეს სიტყვა ათჯერაც არი ნახპარი მართა იერგმა წინასწარმეტყველას წიგნში, მაგ. «მეცა შინა მოიწიოს საარება თქვენზედა» (იბ. თ. 6—26). ისიას წიგნშიაც ორგან-სამგან არი, მაგ. «არ ისევს ქვეყანასა შინა შენსა არცა უსამართ- ლობა, არცა შემუსრვა, არცა საარება» (თ. 60—18). ზაქარიას წიგნში: «საარებელ იქნა სიღადე მათი»; «დაეცა ნაძვი, რამეთუ დიდად საარებულ იქმნეს და- ლებულებანი მათნი (თ. 11—2—3).

მეორის, მოარაკებითი, მნიშვნელობით კიდევ ორ-სამგან არის ნახპარი ზიარების ლოცვაში. ლოც- ვანი ახლა ხელთ არ გვაქვს, მაგრამ კარგათ მახსოვს სიტყვები: «გული საარებელი და შემუსრვილი», ე. ი. გული შეპყრობილი დარღებით, გული ნატამალ- ქეუთლი, მონანული, არარაობით მოცუთლი...

ახლა დაფუძატოთ ამ სიტყვას თავსართი აღ. გამოვა: აღსარება, ე. ი. წარმოცალიერება გულის- ნადებისა, ამონადგურება, არარაობის ჩამოგდება. ამით ცხადია, თუ როგორ წარმომდგარან ამ ზმნის ფორმები: აღვიარებ, აღიარებ, აღარარებს, აღვიარებ, აღმიარებ, აღვიარებს, აღვიარება, აღმსაარებელი, აღუარებელი, ანუ აღუარებელი, აღუარება, ე. ი. აღუარებელი, გამოუთქმელი. «აღვიარეთ ჩვენ იგი მეფელ», ე. ი. ვიწამეთ, ვადიდეთ, გამოვაცხადეთ ჩვენ იგი მეფედ. აღუარე მღვდელს ჩემი ცოდვები». გამოუცხადე, გავანდე, წარმოვცალიერე ჩემი გული. «ამის აღმსაარებელი» და არას გზით «მადღარებელი» - «საღსაარებო» და არა «საღიარებელი». აი ნამდვილი და გაურყენელი ფორმები.

როცა მოქმედებითის ზმნის ფორმა გვინდა გამოვთქოთ, მაშინ კი დაფუყენებთ თავში მეორე თავსართს მ-ს და ვიტყვი: ვაღსარებებ, აღსარებებ,

მაღლსარებელი ანუ მეღლსარებე, ი. ი. აღლსარების შთქმევენიებელი, მოწმენი და სხე. როცა მიჩემებითად გეინდა, მაშინ ეტყვი: აღლუარებ და არა ეულღარებ; აღლუარებ, აღლუარებს და არა ეაულღარებ და უღღარებს. აღღარე იგი, აღღწერე იგი; აღღუარებ მას (ეულცხადებ ჩემს გულს პასუხს), აღღწერე მას და სხე. განეაგროთ ანალიზი: თითონ სიტყვას სააქება რაღა ფესვი აქვს და როგორ წარმოედგარა? ცხადია— სიტყვისგან აწ. არაობის ჩამოგდება საღმე, არარის ჩარჩენა შიგ, განადგურება, ანგრევა და წარმოცალიერება.

ეს ყოველი კარგო, ეგებ წემოგვესიტყვოს ბ. სიმონიძე, მაგრამ ეგ ძველი ფორმაო, ახალი კი არისო: ეალიარებ, საღღარებელი და მისთანებიო; ენა თან-და-თან ახალს ფორმაციოში შეღღსო, იზრდება, იღღსებაო, ხალხი ხმარობო და მისთანები.

ღმერთმა შეარცხენოს მისთანა ზრდა და განშენება, თუ ძირიან-ფესვიანათ შეგვეცლის. რა გაიზრდება, თუ თესლს გააქრობ და სხვას დატესავ? მუხუღლო რომ დატესო, განა ბაკლა ამოვა? მუხა განა ეაულს მოიხსამს როღღსმე? სიტყვისგან აქება წარმოდება მხოლოდ სიტყვებ; რებული, სარები, საარებელი (და არას გღით საარებული და, თუნდ, აღღარებული). ერთი სიტყვით, აქება-ზე თავისღღეში აღღსააქება არ ამოვა, რაერთიც უნდა დაკვართო და დაამახინჯო ეს სიტყვა.

«ხალხიც ღღეს ასე ლაპარაკობსო». არა გეჯერა, და თუ მაინცა და მაინც ეინმე ლაპარაკობს, ესეც „ივერიის“ ბრალია. ქვევრს რასაც ჩასძახებ, მასევე ამოგძახებს. ესაც „ივერიაში“ არ ამოუკითხავს, ის თავის ღღეში არ იტყვის: ეალიარებ, ეაღღარებ, აღღარებელი“... სიტყვისაებრ ლიტურგიისა, «შენნი შენთაგან წენდა შემწირველნი», რასაც ჩასძახით, იმასევე ამოგძახიან. თორემ, ესაც საღღეთო წერილი უკითხავს, იმას ევერ ათქმევენიებ ამ უღღენს ფორმას. ტყუილათ არ უთქვამს არჩილ მეფეს ეს სხოლასტიკური შაირი:

ორი არის სიტყვისგება საღღეღლო და საეროო,
საღღეღლოსი მცოდინარე საეროსა მოერიო.

აკაკიმ კარგათ იცის ძველი ენა და იმიტომ არის, რომ ასე თამამათ, ასე ლამაზათ ხმარობს «ახალს ქართულს». ესაც მწერლობა უნდა, ეურჩევეთ მას

მიბაძოს, თორემ ახალის ენა-კილოთი და ახალის ფორმაციებით ბევრს ვერას გახდება.

ახლა «ქკუაზე» ეთქოთ ორიოდ სიტყვა. ესაც უნდა შეიტყოს ჩემი აზრი იმაზე, თუ რომელს დამოკიდებითი ზედშესრულ სახელებს რომელი სუფიქსი უხდება, მისთვის მეტი არ იქმნება ჩაინედოს ნ წლით ამას წინათ გამოსულ წიგნში «ქართული სწორმეტყველება», გვ. 86, 87, 88, 89 და 90. იქ არის ნათქომი, რომ სუფიქსი ანა ეეცხატავს საგნის შემთხვევის რასმე და არა არსებით ეითარებას, მაგ. ეოხიანი, საქმიანი, ზარგიანი და სხე. იქრე ემატება განყენების არსებითი სახელებს, რომელთაგან მოღღებული თვისება დაეკუთნებრს საგანს, მაგ. ნიქი— ნიქიერი, სინღისიერი, ქკუა-ქკუიერი. გონი— გონიერი და სხე.

მართალია, რუსთველს აქვს ნახმარი: «მას ერთსა მიჯნურობასა ქკვიანნი ევერ მიღღღებთან», მაგრამ მე მგონია, აქ სიტყვა ქკვიანი არის ნახმარი არსებითის სახელის ნნიშენღღობით და იმიტომ არი ასე, ეთქოთ ისე, როგორც რუსულშია УМНИЦА. მეორე კიდე, რუსთველი ამ სიტყვას ხმარობს აქ უფრო ირონიულის აზრით. სიტყვის «გონიერის» ბადღად რომ ნღღობოდა ხმარება, მაშინ იტყოდა: ჭკუიქსი, ანუ ქკვიერი.

მანღამანიც არ დაეიქენებ: უთუოღ ეს ფორმა უნდა იხმარონ მეტი, იმიტომ რომ გურამიშვილი კიდევე ასე ხმარობს: «ყვანდათ მათ ძენი, ქკვიანნი, ბრძენნი» (იხ. გვ. 177). გინღ ასე იხმარე, გინღ ისე, ამით ქართული არ დამახინჯდება, ისე როგორც ლიარებით. მხოლოდ ჩვენ ეურჩევეთ თავისაბტიემღებ მწერალს, რომ იხმაროს «ქკუიერი» და არა «ქკუიანი». მით უფრო, რომ მთელი დასავლეთის საქართველო ასე ხმარობს: ქკუიერი, სინღისიერი, ნიქიერი. თფილისში ასეც კი გამიგონია: ნიქიანი, მაგრამ ეს ეულცხოება ხომ ქართულს ენას; აგრეთვე ეულცხოება ჭკუიანნი და სინღისიანი ჩვენს ყურთასმენასაც.

რაც შეეხება იმას— ჭკუა ეიხმაროთ, თუ ქკუა, ეგ ორივე ერთი არაა. ეოზს ჭკუა. გურამიშვილი კი უ—ბრჯგუსა ხმარობდა და იმიტომ ხმარობს ორსავე ფორმას: «ქკუა უხმარ არს ბრიყეთათვის, ქკუა ცოდნით მოიხმარების».

ქართულის ენის მასწავლებელი.

1 გიორგობისთვე.